სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №196/01-01, 03.11. 2016წ.
დანართი №1

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში
რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი
სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი
კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებსა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს თსუ საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. კანდიდატების შერჩევა
ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-სა და პარტნიორი უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:
1. მოტივაცია
2. ზეპირი პრეზენტაცია

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციის და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე	10 ქულა
ძალიან კარგი	9 ქულა
კარგი	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი	7 ქულა
საკმარისი	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა
სტიპენდიატების გამოვლენა ხდება შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.